



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 6
03/02/2021

6-06-4-202102031311



ცაგერის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 ივლისის №16 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს „ცაგერის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმა“ თანდართული დანართის შესაბამისად.
2. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ცაგერის მუნიციპალიტეტის
ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების 2020-2021 წწ.
ერთობლივი სამოქმედო გეგმა
საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის განხორციელებისთვის

საქმიანობა ხორციელდება პროექტის
„გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო
ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“
ფარგლებში და მიზნად ისახავს
ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის
საგზაო რუკის განხორციელების ხელშეწყობას



შესავალი

2019 წლის ოქტომბერში ფონდმა „სოხუმმა“ მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან“ პარტნიორობით დაიწყო პროექტის „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით“ განხორციელება დასავლეთ საქართველოს რვა სამიზნე მუნიციპალიტეტში - ხონი, ვანი, ბაღდათი, თერჯოლა, ამბროლაური, ცაგერი, ოზურგეთი, ლანჩხუთი.

საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ **საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR)** არის მნიშვნელოვანი ელემენტი საქართველოში დემოკრატიული ცვლილებების შენარჩუნების მიზნით. ეფექტიანი და გამჭვირვალე საჯარო მმართველობის მიღწევა წარმოადგენს რეფორმის ძირითად მიზანს და ის შეთანხმებულია ევროკავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის.

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2015 წელს, რეფორმის განხორციელება აქტიურ ფაზაში შევიდა.

დემოკრატიული ღირებულებები, მოქალაქეთა ჩართულობა და საზოგადოებრივი ინტერესების მომსახურება განისაზღვრა საჯარო მმართველობის რეფორმის ქვაკუთხედად. შემუშავდა **საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020**, რომლითაც ჩამოყალიბდა აღნიშნულ სფეროებში საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი პოლიტიკა.

გზამკვლევის ჯეროვნად შესრულებისთვის, 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამი ეროვნული სამოქმედო გეგმა იქნა დამტკიცებული.

რეფორმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს **ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა**, რომლის მიზანია დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა.

PAR-ის ახალ, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში **ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით გათვალისწინებულია** ორი ძირითადი ამოცანა: ა) თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებების გაფართოება; ბ) ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების ეტაპობრივი განვითარება და გაუმჯობესება.

საგულისხმოა, რომ ადგილებზე მნიშვნელოვანი და საგრძნობი ცვლილებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ერთმნიშვნელოვნად აღიარა სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდის აუცილებლობა როგორც რეფორმის იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, ასევე მონიტორინგისა და ზედამხედველობის პროცესში.

ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოები საერთო ფორუმი, რომლის შემადგენლობაშია თექვსმეტი ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციების ჩართულობით, კერძოდ **ცაგერის** მუნიციპალიტეტში: **„აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება“**, **“ცაგერის ქალთა უფლებებისა და თანასწორობის ცენტრი“**ს მიერ მონიტორინგი გაეწია საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების საგზაო რუკის განხორციელებას. მონიტორინგის შედეგად მოხდა ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობის ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესწავლა.

ასევე განხორციელდა მოქალაქეთა საჭიროებების შესწავლა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მომსახურების ეფექტიანობის, გამჭვირვალობის და ინკლუზიურობის ხარისხის შესაფასებლად.

ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში, მათ შორის **ცაგერის**, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება თოთხმეტი წევრისგან. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ქალები, შშმ პირები, დევნილები, ჟურნალისტები: **მარინე სვანიძე, გვანცა ახვლედიანი, გულნაზი გოლეითიანი, მზევინარ ლიპარტელიანი, ნათია შვანგირაძე, მარიამ კოპალიანი, მირზა ქომეთიანი, ნინო ნემსწვერიძე, იზა ხეცურიანი, გოჩა მეგრელი, თამარ დავითულიანი, ალუდა თუთისანი, გიორგი კოპალიანი, თია ფუტკარაძე.**

სამუშაო ჯგუფი მუშაობს ზემოთ აღნიშნული მონიტორინგისა და კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და გამომუშავებული რეკომენდაციების ასახვაზე სამოქმედო გეგმაში და ადვოკატირებას უწევს მათ ჩართვას ადგილობრივ გეგმებში და შესაბამისად ბიუჯეტებში.

აქედან გამომდინარე, **ცაგერის** მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების **ერთობლივი სამოქმედო გეგმა** მოიცავს გარკვეულ მიზნებსა და ქმედებებს, რომლებიც მიმართულია საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგისა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე და არსებული პრობლემების მოგვარებაზე, რათა მიღწეულ იქნეს ეფექტიანი, გამჭვირვალე და ინკლუზიური მმართველობა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
პროექტის „გურიის, იმერეთის და რაჭა ლეჩხუმის სამოქალაქო ორგანიზაციათა საერთო ფორუმი სახელმწიფო
მმართველობის რეფორმის საგზაო რუქის მონიტორინგისთვის“ ფარგლებში შექმნილი „სამუშაო ჯგუფის“
სამოქმედო გეგმა
2020 ივნისი - 2021 წლის სექტემბერი

#	კონკრეტული ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	შემსრულებელი	ვადები	მონიტორინგი	
1	2	3	4	5	6	7	
I.	ადგილობრივი მმართველობის გამჭვირვალობის ხელისშეწყობა						
1.1	- „ანტიკორუფციული, ფინანსური რეგულაციების და ქცევის ეთიკის დებულებების“ შემუშავება - მიღება - ადგილობრივი მმართველობის მუშაობის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და მისი განთავსება ვებ. გვერდზე	- ანტიკორუფციული დებულების შემუშავება; - ფინანსური რეგულაციების შემუშავება; - ეთიკი კოდექსის შემუშავება	- ანტიკორუფციული დებულება; - ფინანსური რეგულაცია; - ეთიკის კოდექსი.	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	2021	1 ჯერ წელიწადში	
1.2	მუნიციპალიტეტის ცალკეული თანამდებობის პირების მოქალაქეების მიღების და კონსულტაციების დღის დადგენა	- მიღების დღეების განთავსება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე	- განთავსებული ინფორმაცია	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	2020	2 ჯერ წელიწადში	
1.3	მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდზე მოსახლეობიდან შემოსული საჩივრებისა და წინადადებებზე გაცემული პასუხების გამოქვეყნება	- მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის განახლება - დამატება: მოსახლეობიდან შემოსული საჩივრებისა და წინადადებებზე	- განახლებული ვებ. გვერდი	ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	2021	2 ჯერ წელიწადში	

		გაცემული პასუხები				
1.4	ადგილობრივი და რეგიონალური მასმედია საშუალების ჩართვა, საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის საკითხების გაშუქების მიზნით	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი საინფორმაციო წყაროების ჩართვა; - საჯარო რეფორმაზე ინფორმაციის გაშვება ეთერში 	<ul style="list-style-type: none"> - რამდენი და რომელი საინფორმაციო წყაროა ჩართული; - რამდენია დაფიქსირებულ ი გადაცემა და რა თემატიკით 	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი მასმედია; - ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურა; - „სამუშაო ჯგუფი“ 	2020-2021	2 ჯერ წელიწადში
II ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა						
2.1	მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა უნარ - ჩვევების ამაღლება მოსახლეობისათვის ელექტრონული მომსახურეობის საკითხებში	<ul style="list-style-type: none"> - ელექტრონული მომსახურეობის გაზიარების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ყველა მოხელისათვის 	<ul style="list-style-type: none"> - ადამიანთა რ-ბა, ვინც მიიღო ცოდნა ელექტრონულ მომსახურეობაზე 	ადგილობრივი თვითმმართველობა	2020	2 ჯერ წელიწადში
2.2	ადგილობრივი მოსახლეობის ინტერნეტიზაცია (ყველა ოჯახს ინტერნეტი)	<ul style="list-style-type: none"> - მოლაპარაკებები რეგიონში მომუშავე ინტერნეტ პროვაიდერთან; - პროვაიდერთან შეთანხმების მიღწევა: მათი თანამონაწილეობით რეგიონის ინტერნეტიზაცია; - ინტერნეტით სარგებლობა შეღავათიანი ფასებით 	<ul style="list-style-type: none"> - პროვაიდერებთან მიღწეული შეთანხმება; - ინტერნეტით უზრუნველყოფილთა რიცხვი 	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი თვითმმართველობა; - ინტერნეტ - პროვაიდერები 	2021	1 ჯერ წელიწადში
2.3	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა ელექტრონულ მომსახურეობაზე	<ul style="list-style-type: none"> - საინფორმაციო შეხვედრები ან შეტყობინებები 	<ul style="list-style-type: none"> - მონაწილეთა რ-ბა; - გაგზავნილი შეტყობინებების 	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი ა/ო; - მასმედია; 	2020-2021	2 ჯერ წელიწადში

		ტელეფონზე; - საინფორმაციო ფურცლის გაკვრა ხალხმრავალ ადგილებში; - საინფორმაციო ვიდეო რგოლების მომზადება და ჩვენება; განთავსება სოც ქსელებში	რ-ბა; - გაკრული განცხადების რ-ბა; - სოც. ქსელის მომხმარებელთა რ-ბა	- ადგილობრივი მუნიციპალიტეტი		
III.	ადგილობრივი მმართველობის ინკლუზიურობის გაზრდა					
3.1	მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა განვითარების გეგმის შემუშავება	მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა განვითარების გეგმის შემუშავება შემდეგ საკითხებზე: - ბიუჯეტირება, გენდერი, ინკლუზიურობა, ეფექტიანობა; - თანამშრომლებისათვის ვორკ შოპის ორგანიზება - ჩატარება შემუშავებული გეგმის მიხედვით	- მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა განვითარების თემატური გეგმა; - ჩატარებული ვორკ შოპები; - ვორკ შოპის მონაწილე მუნიციპალიტეტის თანამშრომლები	- ადგილობრივი მუნიციპალიტეტი; - ადგილობრივი პარტნიორი ა/ო; - სამუშაო ჯგუფი	2020	1 ჯერ წელიწადში
3.2	შპს პირთა ჯგუფებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა	- ადმინისტრაციული შენობებისა და სხვა სოც. დანიშნულების ობიექტების პანდუსით უზრუნველყოფა	- პანდუსის რ-ბა (მათ შორის მიზნობრივი)	- ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	2020-2021	1 ჯერ წელიწადში
IV.	მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოვლენა და მათზე რეაგირება					
4.1	ცაგერის მუნიციპალიტეტის	- აქტიურ მოქალაქეთა	- „სამუშაო	- მქფ;	2020	2 ჯერ

	საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) განხორციელების ფარგლებში მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრიორიტეტების მდგრადი სისტემის დანერგვა	„სამუშაო ჯგუფის“ შექმნა; - „სამუშაო ჯგუფის“ დებულების, შეხვედრების გეგმის შედგენა - დამტკიცება; - „სამუშაო ჯგუფის“ სტრატეგიისა და მოქმედების გეგმის შემუშავება; - „სამუშაო ჯგუფის“ მიერ „სტრატეგიისა და მოქმედების“ განხილვა დამტკიცება	ჯგუფის“ შემადგენლობა; - „სამუშაო ჯგუფის“ დებულება, შეხვედრების გეგმა და სტრატეგიული გეგმა; - შეხვედრების ოქმი.	- ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები; - ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	ივლისი	წელიწადში
4.2	ადგილობრივი მოსახლეობის (მათ შორის ახალგაზრდების, ქალების) ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა	- სახელმწიფო სოფლის მეურნეობის აღორძინების პროექტების მოძიება; - ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული პროექტების შესახებ	- მოძიებული პროექტების რ-ბა; - მოსახლეობისთვის გაცემული ინფორმაცია	- მქუ; - ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები; - სამუშაო ჯგუფი	2020-2021	2 ჯერ წელიწადში
4.3	„სამუშაო ჯგუფის“ მონაწილეობა მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის პროცესში	- სამუშაო ჯგუფის კვლევაში მონაწილეობის მიღება; - კვლევის შედეგად გამოვლენილი	- კვლევის მასალების განხილვა; - „სამუშაო ჯგუფის“ მიერ შემუშავებული	- ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები; - სამუშაო ჯგუფი	2020-2021	2 ჯერ წელიწადში

